სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ვიოლეტა ფორჩხიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	91	100

ხელმოწერა

თარიღი 17.09.2024 წ.

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ვიოლეტა ფორჩხიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (სულ 18) მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა ვიოლეტა ფორჩხიძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გავეცანი სრულყოფილად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:
კანდიდატი არის 57 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ, 1992 წ.);
სპეციალობით მუშაობს 31 წელი, კერძოდ:
1993-1999 წლები, ვანის რაიონული სასამართლოს აღმასრულებელი.
მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: 25 წელი
1999-2009 წლები - ვანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე (იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარე);
2009-2012 წლები - ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
2012-2021 წლები - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
2021 წლიდან - დღემდე - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.
რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, კომუნიკაბელურობას, თავმდაბლობას და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ, გახმაურებულ საქმეებთან, ოჯახის წევრების კავშირებთან, მის მოსამართლედ განწესებასთან და დატვირთულობასთან დაკავშირებით. ასევე, იძებნება ინფორმაცია გენდერულ კვოტაზე სასამართლო სისტემაში და სხვადასხვა ანგარიშები.

კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.
არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორიით.

კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ორი ბინა, თბილისში, 125.4 კვ.მ და 70.62 კვ.მ.; ბინა, ქ.ქუთაისში, 16 კვ.მ.; ბინა, ქ.ბათუმში, 41 კვ.მ.; ხუთი მიწის ნაკვეთი, ვანის მუნიციპალიტეტ, სოფელ სალხინოში: 293 კვ.მ. და 2709 კვ.მ. (სამი მიწის ნაკვეთის ფართობი დასაზუსტებელია). უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო 3 წლის განმავლობაში კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რამდენიმე ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რამდენიმე ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ერთ დასრულებულ საქმეში (დავის საგანი - საჯარიმო ქვითრის გაუქმება).

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

კანდიდატის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადის დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 99,1%, ვადის დარღვევით - 0,9%. გადაწყვეტილები მომზადებული აქვს - 100% ვადის დაცვით. მოსამართლეს - 930 დღეში დასრულებული აქვს - 2467 საქმე (დღეში საშუალოდ 2,7 საქმე).

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილებები:
ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-985/20, 23 აპრილი, 2021 წელი;
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება №2/16782-21, 28 სექტემბერი, 2021 წელი;
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება №2/25098-23, 16 ნოემბერი, 2023 წელი;
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება №33690-23, 24 მაისი, 2024 წელი;
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება №2/2913-24, 4 ივლისი, 2024 წელი.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ სასწავლო ღონისძიებებში:
„გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია" - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ გამართული ტრენინგი, თბილისი, 25-26 თებერვალი, 2023 წელი;
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა, კომპლექსი ლოპოტა, 28-30 ივნისი, 2023 წელი და სხვა.
კანდიდატი 2013 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:
2013-2021 წლები - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - მოწვეული მასწავლებელი კერძო სამართალში;
2015-2021 წლები - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა - მოწვეული მასწავლებელი კერძო სამართალში.
კანდიდატის გამოქვეყნებული შრომები (სამეცნიერო სტატია/ მონოგრაფია/ წიგნი):
სტატია - ხელოვნური განაყოფიერება და მხარეთა უფლებების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში;
სტატია - იპოთეკის ობიექტების სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები, უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი.

2016 წლიდან - დღემდე არის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი კერძო სამართლის მიმართულებით; სადისერტაციო თემა: „იპოთეკა - საკუთრების უფლების შეზღუდვა".
კანდიდატი ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

2015 წელს მიღებული აქვს ჯილდო და საპატიო წოდება - ვანის გამგეობისა და ეპარქიის გადაწყვეტილებით რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.

კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე სამართალდარღვევის ფაქტი. ჯარიმები გადახდილია დროულად. შესწავლილ მასალებში კანდიდატის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტი არ ფიქსირდება.

რეკომენდაციებში რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას და პასუხისმგებლიანობას. ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.

კანდიდატი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად. რეკომენდატორები კანდიდატს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებად ახასიათებენ. ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობას კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობას, საკუთარი ემოციების მართვის უნარს, სასამართლოში წარმართული დავებში მონაწილეობას, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

კანდიდატთან საჯარო მოსმენისა და ასევე მის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას. მას შეუძლია ემოციების მართვა და იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს. არის თავდაჭერილი და თავდაჯერებული. კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. სასამართლოში დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატის პირადი თვისებები სრულად შეეფერება მის მაღალ სტატუსს. ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი,ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით, როგორც კოლეგებში, ისე აპარატის თანამშრომლებსა და იურიდიულ წრეებში. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

კანდიდატის შემოსავლის, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაანალიზების შედეგად, მიმაჩნია, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულების მახასიათებელს.

დასკვნა - კეთილსინდისიერების ყველა კრიტერიუმის მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად, რის გამოც მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:
საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური. კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სათანადო ცოდნა.
კანდიდატმა წარმოადგინა მის მირ განხილულ საქმეებზე მიღებული საპროცესო აქტები. მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთებულია სათანადოდ და არგუმენტირებულია, გამოყენებულია საერთაშორისო სტანდარტები. ამდენად, მიმაჩნია, რომ სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 17 ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე მის მიერ განხილულ საქმეებზე

მიღებული გადაწყვეტილებებით, რეკომენდატორთა დახასიათებებითა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებით.

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი. მასალების გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილებები შეესაბამება - გადაწყვეტილებისათვის დამახასიათებელ დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს. გადაწყვეტილებები არის აღქმადი და სათანადოდ დასაბუთებული, რაც მათ ანიჭებს დამაჯერებლობას. გასათვალისწინებელია, რომ კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება. ამდენად, სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 17 ქულით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი მსჯელობს თანმიმდევრულად, მარტივი და გასაგები ენით. მსჯელობა არის ლოგიკური და არაორაზროვანი. გადაწყვეტილებაში ფაქტობრივი გარეოებები გადმოცემულია სრულყოფილად. ამასთან, დაცულია საპროცესო კოდექსით დადგენილი სტრუქტურა. აქვს გამოცდილება სამოქალაქო და სისხლის სამართლის მიმართულებით. გადაწყვეტილებები გამოირჩევა დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით. ამდენად, წერის უნარის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 17 ქულით.

კანდიდატი მეტყველებს კარად და გამართულად. მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად, თანმიმდევრულად და გასაგებად. ავლენს სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარს. არის ღია და გახსნილი. ამდენად, მიმაჩნია, რომ ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატს გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში და მხარეებთან ურთიერთობა შესაბამისია. კანდიდატი შრომისმოყვარეა, რაც აისახება კიდეც მის მიერ განხილულ საქმეთა სტატისტიკურ მაჩვენებელზე. კანდიდატს აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი. აქვს კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები, სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი. ამდენად, პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო შეხვედრასა და სემინარში. მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ამდენად, მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით.

კანდიდატი მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და სემინარებში. ეწევა პედაგოგიურ

საქმიანობას. მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით.

დასკვნა კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატს ვაფასებ - 91 ქულით.

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

ხელმოწერა ----------

თარიღი --17.09.2024წ.----------